ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #116/გ

ქ. მცხეთა 20 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ავთანდილ დავლიანიძე შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ დავლიანიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1. სამეურნეო მასალის (CPV 44500000) – 117,20ლ. დენის კაბელის (CPV 31320000) – 94,50ლ. ცემენტის (CPV 44111200) – 88ლ. ლურსმანის (CPV 44110000) – 5,40ლ. საიზოლაციო ლენტის (CPV 31651000) – 5ლ. საღებავის (CPV 44810000) – 72ლ. გამხსნელის (CPV 44832200) – 8ლ. სამუშაო ხელთათმანის (CPV 18141000) – 60ლ. ბალახის საკრეჭის ნაწილების (CPV 16311000) – 16ლ. შესყიდვა.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 466,10 (ოთხას სამოცდაექვსი ლარი და 10თ) ლარს.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

41 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის საწყობის გამგე რობერტ იმერლიშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	„მომწოდებელი"
ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის	
კეთილმოწყობის სამსახური	ი/მ ავთანდილ დავლიანიძე
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ს/კ 31001005329
ს/კ 436036246	ა/ა GE45BG0000000317131800
	ბანკი: საქართველოს ბანკი
	ბ/კ BAGAGE22
დირექტორი: ნ.კაპანაძე	დირექტორი: ა.დავლიანიძე

ქ.მცხეთა 20 აგვისტო 2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ვაიპ თვითმმართველ ქალაქ „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის" კეთილმოწყობის სამსახურსა და ი/მ ავთანდილ დავლიანიძეს შორის 2016 წლის 20 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N116/გ ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი: ნ.კაპანაძე

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის
საწყობის გამგე: რ.იმერლიშვილი